Office des étrangers
Vreemdelingenzaken

საინფორმაციო ბროშურა

საერთაშორისო თავშესაფრის

მოთხოვნა ბელგიაში

.be

Georgian

შინაარსი

1. საერთაშორისო თავშესაფარი ბელგიაში..... 4
2. როდის უნდა მოითხოვოთ საერთაშორისო თავშესაფარი 5
3. რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტებები 6
3.1. რას ნიშნავს საერთაშორისო თავშესაფარი? 6
3.2. ვინ არის სერთაშორისო თავშესაფარის მომთხოვნი პირი?.....7
3.3. რას ნიშნავს დუბლინი?.....7
3.4. რას ნიშნავს" საბოლოო" გადაწყვეტიება?.....7
3.5. როდის არის საუბარი "შემდეგი ინტერნაციონალური თავშესაფარი".?.....7
3.6. რას ნიშნავს "ბიომეტრიული მონაცემები"? 8
4. პროცედურაზე წვდომა..... 8
4.1. სად უნდა მოითხოვოთ ინტერნაციონალური თავშესაფარი?.....8
4.2. როდის იწყება პროცედურა?.....8
4.2.1. მოთხოვნის რეგისტრაციის გაკეთება 9
4.2.2. მოთხოვნის შეტანა 13
5. გათვალისწინებულია თუ არა ჩემი განსაკუთრებული საჭიროებები.. 16
6. დუბლინი? 17
6.1. როდის გეხებათ დუბლინი? 18
6.2. შესაძლებელია თუ არა ძალით დამაბრუნონ იმ ევროპის ქვეყანაში რომელიც არის პასუხისმგებელი განიხილოს ჩემი მოთხოვნა საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით?..... ...18
7. დაკითხული ვიქნები თუ არა უცხოელთა ოფისის მიერ?.....19
7.1. რა როლი აქვთ ოფისის თანამშრომელს და თარჯიმანს? 19
7.2. რა არის დაკითხვის მიზანი? 20
7.3. ინტერვიუს დასრულება? 21
7.4. ურთიერთ თანამშრომლობასთან დაკავშირებული ვალდებულება ... 22
7.5. როგორ იქნება დაკითხვა ორგანიზირებული?..... 22
8. რომელი საბუთები ბარდება?..... 23
8.1. პროცედურის დროს 23
8.2. ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შემდეგ..... 24
8.3. თავშესაფრის შემცვლელი სტატუსის მინიჭების შემდეგ 24
8.4. საერთაშორისო თავშესაფრის მინიჭების უარყოფი პასუხის შემთხვევაში 25
9. შემიძლია თუ არა შევცვალო ჩემი პირადი მონაცემები? 26
10. მე ვარ არასრულწოვანი და არ მყავს თანმხლები პირი... რა ხდება ამ შემთხვევაში?.....26
11. შემიძლია თუ არა პროცედურის დროს მყავდეს ადვოკატი?..... 28
12. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მინდა ჩემს ქვეყანაში უკან დაბრუნება?..... 29
13. შეიძლება თუ არა პროცედურის დროს ვიყო დაკავებული?..... 30
14. რაში იყენებს საემიგრაციო სამსახური პირად მონაცემებს? 30
15. საჭირო ინფორმაციები 31

1. საერთაშორისო თავშესაფარი ბელგიაში

ნებისმიერ უცხოელს რომელიც იმყოფება ბელგიის ტერიტორიაზე შეუძლია მოითხოვოს საერთაშორისო თავშესაფარი შესაბამის ბელგიის ორგანოებში.

ამასთან დაკავშირებით ჩართულია სხვადასხვა ინსტანციები:

საემიგრაციო სამსახური (DVZ)

საემიგრაციო სამსახური არის ინსტანცია რომელიც უფლებამოსილია უცხოელთა ბელგიის ტერიტორიაზე შემოსვლის, ყოფნის და გაძევებასთან დაკავშირებით.

საემიგრაციო სამსახური არეგისტრირებს საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნას და ადგენს არის თუ არა ბელგია - ან სხვა ევრო კავშირის ქვეყანა - პასუხისმგებელი განიხილოს საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნა.

https://dofi.ibz.be/

ლტოლვილთა და უსამშობლო პირთა გენერალური კომისარიატი (CGVS)

ლტოლვილთა და უსამშობლო პირთა გენერალური კომისარიატი უფლებამოსილია გამოიძიოს საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვა. და შეაფასოს თავშესაფრის საჭიროება.

https://www.cgra.be/

უცხოელთა დავის საბჭო (RVV)

უცხოელთა დავის საბჭო არის ადმინიასტრაციული სასამართლო კოლეგია. იმ შემთხვევაში თუ უცხოელი არ ეთანხმება DVZ -ის ან CGVS-ის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უცხოელთა დავის საბჭოში.

დავის საბჭო გამოიტანს გადაწყვეტილებას.

დავის საბჭოს აქვს აგრეთვე უფლებამოსილება თვითონვე მიანიჭოს უცხოელს (ლტოლვილის ან თავშესაფრის შემცვლელი) სტატუსი.

დავის საბჭოს შეუძლია საქმე დააბრუნოს DVZ -ში ან CGVS -ში დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

https://www.rvv-cce.be/

საკანონმდებლო და აღმასრულებელი სასამართლო ორგანო (RVS)

RVS არის უმაღლესი სასამართლო სადაც საჩივრდება უცხოელთა დავის საბჭოს (RVV) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

https://www.conseildetat.be/

თავშესაფრის მაძიებელთათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ადგილით დაკმაყოფიების ფედერალური სააგენტო (Fedasil)

Fedasil -ი ზრუნავს თავშესაფრის მაძიებლები დააკმაყოფილონ საცხოვრებელი ადგილით. პირი რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს მათი მხრიდან უტარდება სამედიცინო შემოწმება

https://www.fedasil.be/

2. როდის უნდა მოითხოვოთ საერთაშორისო თავშესაფარი?

თქვენ ბელგიაში შეგიძლიათ მოითხოვოთ საერთაშორისო თავშესაფარი თუ თქვენს ქვეყანაში იდევნებით ან გემუქრებათ რაიმე საფრთხე.

ჯერ უნდა დადგინდეს, თუ რომელი ევრო კავშირის ქვეყანაა თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი.

იმ შემთხვევაში თუ ბელგია იქნება პასუხისმგებელი, რათა განიხილოს თქვენი დუბლინის პროცედურა, ლტოლვილთა და უსამშობლო პირთა გენერალური კომისარიატი დაადგენს, გეკუთვნით თუ არა მიიღოთ ლტოლვილის სტატუსი. იმ შემთხვევაში თუ ეს ასე არ არის, მაშინ უნდა იქნეს გამოძიებული გეკუთვნით თუ არა მიიღოთ თავშესაფლის შემცვლელი სტატუსი.

გაეცანით მეტ ინფორმაციას დუბლინის შესახებ, პუნქტი **6. Dublin**

ლტოლვილის სტატუსი

თქვენ გენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი, თუ თქვენ იდევნებით თქვენი რასის, სარწმუნოების, მოქალაქეობის, პოლიტიკური შეხედულების გამო ან მიეკუთვნებით რომელიმე სოციალურ ჯგუფს და ან ვერ გიცავთ თქვენი სახელმწიფო. ეს კრიტერიები დადგენილია ჟენევის კონვენციის მიხედვით, რომელიც მიღებულ იქნა 1951 წლის 28 ივლისს (რომელსაც ეწოდება აგრეთვე ლტოლვილთა კონვენცია")

თავშესაფრის შემცვლელი სტატუსი

თუ თქვენ ვერ აკმაყოფილებთ კრიტერიებს რათა მიიღოთ ლტოლვილის სტატუსი, მაგრამ არსებობს საფრთხე მიიღოთ სერიოზული დაზიანება სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლებელია მოგენიჭოთ თავშესაფრის შემცვლელი სტატუსი.

სერიუზულ დაზიანებაში იგულისხმება:

- სიკვდილი ან ეგზოკუცია; ან
- წამება ან არაადამიანური მოპყრობა ან დამამცირებელი მოპყრობა, ან დასჯა; ან
- სერიოზული სიცოცხლის საფრთხე, ან პიროვნებზე როგორც მოქალაქეზე ძალის გამოყენება რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ან შიდა შეიარღებული კონფლ.

3. რამდენიმე მნიშვნელოვანი მცნება

3.1 რას ნიშნავს საერთაშორისო თავშესაფარი?

როდესაც ბელგიის სახელმწიფოს თხოვთ თავშესაფარს, იმის გამო რომ თქვენს ქვეყანაში იდევნებით ან გემუქრებათ საფრთხე, ამ შემთხვევაში თქვენ აკეთებთ განაცხადს *"საერთაშორისო ეწოდება აგრეთვე მოთხოვნასთან დაკავშირებით"*.

3.2 ვინ არის საერთაშორისო თავშესაფრის მომთხოვნი პირი ?

როდესაც თქვენ ბელგიის სახელმწიფოს თხოვთ თავშესაფარს, რათა თქვენს ქვეყანაში იდევნებით ან გემუქრებათ საფრთხე, თქვენ ხართ *"პირი რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს"*, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე თქვენს მოთხოვნასთან დაკავშირებით.

3.3 რა არის დუბლინი?

> გაეცანით მეტ ინფორმაციას დუბლინის შესახებ, პუნქტი **6. Dublin**

თქვენ არ შეგიძლიათ თავისუფლად აირჩიოთ რომელი ქვეყანა იქნება თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი. ამასთან დაკავშირებულია რამოდენიმე წესები. ეს წესები აღწერილია დუბლინის წესდებაში: წესდება რომელიც განსაზღვრავს რომელი "დუბლინის ქვეყანაა "თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის პასუხისმგებელი. როგორც კი ბელგიაში მოითხოვთ საერთაშორისო თავშესაფარს, უცხოელთა ოფისი გამოარკვევს არის ბელგია თუ სხვა "დუბლინის ქვეყანა" თქვენი მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი.

3.4 რას ნიშნავს საბოლოო "გადაწყვეტილება"?

როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება თქვენი მოთხოვნის შესახებ (*კონკრეტულად, თქვენ არ მოგენიჭათ თავშესაფრის სტატუსი*) და ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღარ შეგიძლიათ გამოიყენოთ იურიდიული საშუალებები (*რაც გათვალისწინებულია ლტოლვილთა კანონში*) ამ შემთხვევაში საუბარია *"საბოლოო გადაწყვეტილებაზე"*

3.5 როდის არის საუბარი "შემდეგ საერთაშორისო მოთხოვნასთან დაკავშირებით"?

როდესაც თქვენ უკვე ბელგიაში მოთხოვნილი გაქვთ საერთაშორისო თავშესაფარი და ამ მოთხოვნაზე უკვე გამოტანილ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება და თქვენ თავიდან ისევ აკეთებთ მოთხოვნას, ეს არის *"შემდეგი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვა"*.

ამ მოთხოვნის შემდეგ-მას შემდეგ რაც გამოტანილია საბოლოო გადაწყვეტილება - ყოველი შემდგომი მოთხოვნა ითვლება როგორც *"შემდეგ მოთხოვნად"*.

3.6 რას ნიშნავს "ბიომეტრიული მონაცემები?"

ყოველი პირი, რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს, მას ჩამოართმევენ "*ბიომეტრიულ მონაცემებს*"; კერძოდ თითის ანაბეჭდებს და სურათს.

ეს მონაცემები გამოიყენება რათა მოხდეს (ავტომატურად) ბიომეტრიული შედარება.

4. პროცედურაზე წვდომა

4.1 სად შეგიძლიათ მოითხოვოთ საერთაშორისო თავშესაფარი?

პირს რომელსაც სურს მოითხოვოს საერთაშორისო თავშესაფარი ბელგიაში, რაც **შეიძლება მალე** უნდა გამოცხადეს უცხოელთა განყოფილებაში.

შესაძლებელია მოთხოვნის გაკეთება :

- **საზღვარზე**, სასაზღვრო კონტროლზე, პასუხისმგებელ ორგანოებთან.
- **დახურულ ცენტრში**, სადაც მუშაობენ უცხოელთა ოფისის მოხელეები.
- **ციხეში**, ციხის დირექტორთან.

4.2 როდის იწყება პროცედურა?

პროცედურა არ იწყება მაშინვე. ეს ხდება რამდენიმე საფეხურის გავლის შემდეგ:

- მოთხოვნის გაკეთება
- მოთხოვნის დარეგისტრირება
- მოთხოვნის შეტანა

პირადად თქვენი გამოცხადება ყოველი ამ სამივე საფეხურის დროს აუცილებელია.

4.2.1 *მოთხოვნის რეგისტრაციის გაკეთება*

როდესაც თქვენ იმყოფებით ბელგიის ტერიტორიაზე და გსურთ რომ მოითხოვოთ საერთაშორისო თავშესაფარი, უნდა გამოცხადდეთ საემიგრაციო სამსახურში სადაც შეგაქვთ საერთაშორსო თავშესაფრის მოთხოვნა.

საემიგრაციო სამსახური - შესაძლებლობის ფარგლებში- ეცდება იმავე დღეს დაარეგისტრიროს თქვენი მოთხოვანა.

რეგისტრაციის დროს თქვენ მოგაწვდიან ინფორმაციას, თუ როგორ უნდა შეიტანოთ განცხადება. პროცედურა იწება მხოლოდ მაშინ როდესაც თქვენ ოფიციალურად შეგაქვთ განცხადება.

თუ იმავე დღეს ვერ მოხერხდება თქვენი მოთხოვნის შეტანა, მიიღებთ ცნობას რათა გამოცხადდეთ თავიდან საემიგრაციო სამსახურში. ამ საბუთით თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენ გააკეთეთ საერთაშორისო თავშესაფარი. ამ მომენტიდან თქვენ ხართ პირი, რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს.

რეგისტრაცია მოიცავს:

იდენტიფიკაციის დადგენა

რეგისტრაციის დროს საემიგრაციო სამსახური დაადგენს თქვენს იდენტიფიკაციას (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა). პირველ რიგში ეს ხდება იმ საბუთების საფუძველზე რომელსაც თქვენ ფლობთ. თუ თქვენ არ ფლობთ პირადობის დამადასტურებელ საბუთს, თქვენი პირადი მონაცენები შედგება თქვენი განცხადების საფუძველზე.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გქონდეთ თქვენი ორიგინალური პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ან ამ საბუთების ქსერო ასლები და წარადგინოთ ისინი საემიგრაციო სამსახური.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება

რათა სისრულეში მოიყვანონ რეგისტრაცია, უცხოელთა ოფისი გამოარკვევს როდიდან იმყოფებით ბელგიაში, გაქვთ თუ არა თქვენ უკვე საცხოვრებლი ადგილი ბელგიაში ან გესაჭიროებათ თუ არა საცხოვრებელი ადგილით დაკმაყოფილება. შეგეკითხებიან, პროცედურის მსვლელობის დროს გესაჭიროებათ თუ არა თარჯიმნის დახმარება.

განმცხადებლის დაუცველობის გამორკვევა

რეგისტრქციის დროს შეგეკითხებიან, გესაჭიროებათ თუ არა განსაკუთრებული დახმარება. ეს აუცილებელია საცხოვრებელი ადგილის გამოყოფის, შემდეგი პროცედურის ფარგლებში, რათა გათვალისწინებული იქნეს, თქვენი მდგომარეობა.

განმცხადებლის ინფორმირება მის უფლებებსა და მოვალეობებზე

პირი რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს მას აქვს უფლებები, მაგრამ ამავე დროს მოვალეობები. როგორც პირს რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს, გაქვთ უფლება მიიღოთ საცხოვრებელი ადგილი და მიიღოთ **მატერიალური დახმარება** Fedasil- დან. პირი რომელიც ითხოვთ საერთაშორისო თავშესაფარს დაცული ხართ რათა არ დაგაბრუნონ იმ ქვეყანაში სადაც გემუქრებათ საფრთხე. ეს ნიშნავს იმას, რომ პროცედურის მსვლელობის დროს, არ უნდა იქნეთ დაბრუნებული თქვენს ქვეყანაში, გარდა იმ შემთხვევისა რაც გათვალისწინებულია უცხოელთა შესახებ კანონმდებლობაში.

აგრეთვე, პროცედურის მსვლელობის დროს, ბელგიის სახელმწიფო ინსტანციები არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდებიან თქვენი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურებს და არ ხდება ინფორმაციის გადაცემა თქვენს შესახებ.

ყურადღება: საცხოვრებელი ადგილით დაკმაყოფილება შეიძლება იყოს შეზღუდული.

მეორე მხრივ, როდესაც ითხოვთ საერთაშორისო თავშესაფარს გევალებათ ისაუბროთ სიმართლე და **ითანამშრომლოთ** პროცედურის მსვლელობის განმავლობაში.

თუ თქვენ ფლობთ პირადობის დამადასტურებელ საბუთებს, **ვალდებული ხართ** წარადგინოთ ისინი რეგისტრაციის დროს.

თქვენ **ვალდებული** ხართ აგრეთვე წარადგინოთ ყველა დოკუმენტაცია რომელიც დაეხმარება კომპეტენტურ ორგანოებს თქვენი მოთხოვნის განხილვის დროს, ან

რათა დადგინდეს ევრო კავშირის ქვეყანა რომელიც პასუხისმგებელი იქნება განიხილოს თქვენი მოთხოვნა.

რომელი საბუთებია მნიშვნელოვანი?

ყველა საბუთი, რომელიც ადასტურებს თქვენს წლოვანებას, წარმომავლობას (*აგრეთვე თქვენი ოჯახისწევრის*), თქვენს ვინაობა, მოქალაქეობა, ქვეყნები და ადგილები სადაც ადრე იმყოფებოდით, ინფორმაცია ადრე მოთხოვნილი თავშესაფრის შესახებ, გზასთან დაკავშირებული ინფორმაცია , პირადობის დამადასტურებელი საბუთები), ... მნიშვნელოვანია აგრეთვე ყველა სხვა საბუთები, რომლითაც ადასტურებთ თქვენს პრობლემას თქვენს ქვეყანაში.

საბუთების არ ჩაბარების შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ განაცხადებთ უარს გარკვეული საბუთების წარდგენასთან დაკავშირებით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ თქვენ სათანადოდ არ თანამშრობლობთ შესაბამის ორგანოებთან.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ სათანადოდ არ ითანამშრომლებთ შესაბამის ორგანოებთან, ეს გამოიწვევს იმას რომ მოთხოვნის დროს შეიძლება მოხდეს თქვენი დაკავება შესაბამის ადგილზე, ან , იმ შენთხვევაში თუ ბელგია პასუხისმგებელი იქნება განიხულოს თქვენი მოთხოვნა, მოხდეს

თქვენი მოთხოვნის დაჩქარებული წესით განხილვა ლტოლვილთა და უსამშობლო პირთა გენერაურ კომისარიატის მიერ (CGVS)

თქვენი უფლებების და პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულნი იქნებით რეგისტრაციის დროს.

ბიომეტრიული მონაცემების ჩამორთმევა

რეგისტრაციის დროს მოხდება თქვენთვის სურათის გადაღება და თითის ანაბეჭდების აღება, საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელის მიერ. თითის ანაბეჭდის საფუძველზე დადგინდება, მოთხოვნილი გაქვთ თუ არა სხვა ევრო კავშირის ქვეყანაში თავშესაფარი.

სურათი ჩაიდება თქვენს საქმეში და სხვადასხვა საბუთებში, რომელსაც მიიღებთ პროცედურის ფარგლებში საემიგრაციო სამსახურის მიერ.

მეტი ინფორმაციის მიღება თქვენი მოთხოვნის რეგისტრაციის შესახებ შესაძლებელია საემიგრაციო სამსახურის ვებ გვერდზე :

https://tinyurl.com/dpipresentationENG

საკონტაქტო მონაცემები:

საემიგრაციო სამსახური -
საერთაშორისო თავშესაფრის განყოფილება

e-mail : registration@ibz.fgov.be

4.2.2 *მოთხოვნის შეტანა*

რეგისტრაციის დღეს ან არაუმეტეს 30 დღისა, საშუალება მოგეცემათ შეიტანოთ თქვენი მოთხოვნა.

მოთხოვნის შეტანის დღეს უნდა შეასრულოთ რანდენიმე სამართებლივი მოვალეობები:

საცხოვრებელი ადგილის არჩევა

ყველა პირი რომელიც ბელგიაში ითხოვს თავშესაფარს, ვალდებულია მიუთითოს მისამართი. საემიგრაციო სამსახური შეგეკითხებათ რომელი მისამართი გსურთ რომ იქნეს მითითებული. ეს შეიძლება იყოს მისამართი სადაც თქვენ უშუალოდ იცხოვრებთ, ან აირჩიოთ თქვენს ფოსტის მისამართად ბელგიაში თქვენი ადვოკატის, მეგობრის, ნათესავის მისამართი, ...

საემიგრაციო სამსახური და კომისარიატი პროცედურასთან დაკავშირებულ ყველა წერილობით შეტყობინებას გამოგიგზავნით ამ მისამართზე (*კონკრეტულად, მოწვევას, შეკითხვას რათა მიიღონ მეტი ინფორმაცია, გადაწყვეტილებას.....*)

თუ თქვენ არ აირჩევთ და მიუთითებთ მისამართს, თქვენს მისამართად ჩაითვლება კომისარიატის მისამართი და ყველა წერილობითი გზავნილი გამოგეგზავნებათ კომისარიატის მისამართზე. თქვენ უნდა მიმართოთ კომისარიატს რათა ჩაიბაროთ თქვენი წერილი.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ შეიცვლით მისამართს, თქვენ ვალდებული ხართ საემიგრაციო სამსახურის და კომისარიატს შეატობინოთ ინფორმააცია მისამართის შეცვლასთან დაკავშირებით.

ეს ფორმულირი დართულია ამ საინფორმაციო ბროშურაზე როგორც დანართი 1 და ასევე იგი შეგიძლიათ მოიძიოთ საემიგრაციო სამსახურის შემდეგ ვებ გვერდზე : https://tinyurl.com/dpiformsENG

ამისთვის საჭიროა შეავსოთ სპეციალური ფორმულირი და დაზღვეული წერილით გაუგზავნოთ საემიგრაციო სამსახურს და კომისარიატს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ შეიცვლით მისამართს და ამას თავის დროზე არ შეატყობინებთ საემიგრაციო სამსახურს და კომისარიატს, ამან შეიძლება გამოიწვიოს უარყოფოთი შედეგები, თქვენს საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ყველა წერილობითი გზავნილი გამოგეგზავნებათ იმ მისამართზე რომელიც თქვენს მიერ ბოლოს იქნა მითითებული, ამის გამო შეიძლება ვერ მიიღოთ თქვენს სახელზე გამოგზავნილი წერილობითი გზავნილი ან მიიღოთ იგი დაგვიანებით.

პროცედურის ენის დადგენა

თავშესაფრის მოთხოვნის დროს იქნება დადგენილი რომელი ენა იქნება თქვენი პროცედურის ენა, ეს შეიძლება იყოს ნიდერლანდური ან ფრანგული.
თუ თქვენ არასაკმარისად ფლობთ ფრანგულ ან ნიდერლანდურ ენას, საემიგრაციო სამსახური, ინსტანციების და სხვადასხვა სამსახურების საჭიროების მიხედვით, თვითონ განსაზღვრავს, რომელი ენა იქნება თქვენი პროცედურის ენა.

ენა, რომელიც არჩეულ იქნება პროცედურის ენად, ეს ენა რჩება თქვენი პროცედურის ენად როგორც კომისარიატში(CGVS) ასევე ადმინისტრაციულ სასამართლო (RVV) ინსტანციაში.

იგივე ენა დარჩება თქვენი პროცედურის ენად შემდეგი თავშესაფრის მოთხოვნის დროსაც.

დანართი 26 / 26quinquies

როდესაც თქვენ საემიგრაციო სამსახურში შეიტანთ თქვენს განაცხადს თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით, გადმოგცემენ დანართ 26-ს (იმ შემთხვევაში თუ ეს ეხება პირველ თავშესაფრის მოთხოვნას) ან დანართი 26 quinquies (იმ შემთხვევაში თუ ეს ეხება მეორე ან შემდეგ თავშესაფრის მოთხოვნას) ამ საბუთზე მითითებული იქნება თქვენი პირადი მონაცემები და აგრეთვე ფოტოსურათი. ეს საბუთი არის მოწმობა, რომ თქვენ შეიტანეთ მოთხოვანა საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ეს საბუთი არ არის თქვენი პირადობის ან მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი.

თუ
თქვენ არ
გამოცხადდებით
მოწვევაზე რათა შეიტანოთ
მოთხოვანა საერთაშორისო
თავშესაფრის მოთხოვნასთან
დაკავშირებით, თქვენი
მოთხოვნა კანონით
გაუქმდება, და იმ წუთიდან
აღარ ითვლებით პირად,
რომელსაც მოთხოვნილი
აქვს საერთაშორისო
თავშესაფარი.
თუ თქვენ მოგვიანებით მაინც შეიტანთ
მოთხოვნას, თქვენი მოთხოვნა
თავიდან გაიხსნება.

5. გათვალისწინებული იქინება თუ არა ჩემი კონკრეტული საჭიროებები?

პროცედურის მსვლელობის დროს, თქვენ გაგესაუბრებიან, რათა პასუხისმგებელ ინსტანციებს სწორი სურათი ჰქონდეთ თქვენს პირად სიტუაციასთან დაკავშირებით და თქვენი თავშესაფრის მოტივთან დაკავშირებით. ნებისმიერ პირს, რომელიც ითხოვს თავშესაფარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რათა მან შეძლოს, რაც შეიძლება კარგად და კარგ გარემოებებში, გადმოსცეს ის მიზეზი რა მიზეზითაც ითხოვს საერთაშორისო თავშსაფარს, რათა იქნეს სწორი გადაწყვეტილება მიღებული.

საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი თქვენთან ერთად შეავსებს კითხვარს, რათა გაეცნოს თქვენს პირად სიტუაციას, რათა გამოარკვიოს, არის თუ არა საჭირო რათა გათვალისწინებულ იქნეს კონკრეტული საკითხები, რომ მოგეცეთ საშუალება, რაც შეიძლება კარგად და კარგ პირობებში გადმოცეთ იმ მიზეზის შესახებ რა მიზეზითაც ითხოვთ საერთაშორისო თავშესაფარს. თქვენი პასუხებიდან გამომდინარე, საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი შეამოწმებს თქვენს კონკრეტულ სიტუაციაში უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული დამატებითი მხარდასაჭერი ზომები.

ამიტომ თქვენს ინტერესებში შედის ის საკითხი რომ, რაც შეიძლება სრულად და გასაგებად უპასუხოთ საემიგრაციო სამსახურის თანამშრომლის მიერ დასმულ შეკითხვებს, მიუთითოთ ყველა იმ საჭირო ელემენტების შესახებ, რაც უკავშირდება თქვენს საჭიროებებს, და რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს პროცედურის მსვლელობის განმავლობაში.

თქვენ გექნებათ საშუალება მოგვიანებითაც, პროცედურის დროს, მიუთითოთ დამატებითი ინფორმაცია ან დაამატოთ შესაბამისი ელემენტები.

6. დუბლინი?

ის ფაქტი რომ თქვენ იმყოფებით ბელგიაში და მოითხოვეთ საერთაშორისო თავშესაფარი, ეს არ ნიშნავს იმას რომ თქვენი მოთხოვნა ავტომატურად ბელგიაში განიხილება.

ევროპაში არსებობს წესები რომელიც განსაზღვრავს რომელი ქვეყანა იქნება თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი ქვეყანა. ეს რეგულირდება დუბლინის წესებით.

ევრო პარლამენტის და ევრო საბჭოს 26 ივნისის 2013 წლის რეგულირების თანახმად, Cfr. 604/2013 კრიტერიების და ინსტრუმენტების დადგენის თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელი ევროპის ქვეყანა არის მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის, საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი, რომელსაც ეს მოთხოვნა გაკეთებული აქვს მას ევრო კავშირის ერთ ერთ ქვეყანაში.

ამ რეგულირების წესები გამოიყენება 31 ქვეყნის მიერ, მათ შორის ბელგიის მიერ.

ვიდრე გამოიძიებენ იმ მიზეზს, თუ რა მიზეზით ითხოვთ საერთაშორისო თავშესაფარს , პირველ რიგში გამოიძიებენ- დუბლინის რეგულირების წესების მიხედვით- თუ რომელი ქვეყანაა თქვენი საერთაშორისო მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი ქვეყანა.

რეგისტრაციის დროს გადმოგცემენ საინფორმაციო ბროშურას “მე მოვითხოვე საერთაშორისო თავშსაფარი ევროპის ქვეყანაში-რომელი ქვეყანა განიხილავს ჩემი თავშესაფრის მოთხოვნას?”

ეს საინფორმაციო ბროშურა არსებობს სხვადასხვა ენებზე და იგი აგრეთვე შეგიძლიათ ნახოთ, საემიგრაციო სამსახურის შემდეგ ვებ გვერდზე: https://tinyurl.com/DPIDublinENG

6.1 როდის არის დუბლინი მოქმედი?

დუბლინის რეგულირება მოიცავს სხვადასხვა კრიტერიუმებს და ამის საფუძველზე გადაწყდება დაიწყოს თუ არა დუბლინის გამოძიება. ეს ხდება არსებული ინფორმაციის საფუძველზე, როგორიცაა პირადობის დამადასტურებელი საბუთებით, თითის ანაბეჭდების მონაცემებით, იმ ინფორმაციის საფუძველზე რასაც ბელგიის ინსტანციები იღებენ სხვა ევროპის ქვეყნებიდან, მაგრამ აგრეთვე თქვენი აღიარების საფუძველზე.

როდესაც გადაწყდება რომ უნდა დაიწყოს დუბლინის პროცედურა, თქვენ გადმოგეცემათ საინფორმაციო ბროშურა "მე ვიმყოფები დუბლინის პროცედურაზე – რას ნიშნავს ეს?",.

ეს საინფორმაციო ბროშურა არსებობს სხვადსხვა ენებზე და აგრეთვე იგი შეგიძლიათ ნახოთ საემიგრაციო სამსახურის ვებ გვერდზე: https://tinyurl.com/DPIDublinENG

თუ გამოძიების საფუძველზე გადაწყდება, რომ ბელგია არ არის პასუხისმგებელი ქვეყანა რომელმაც უნდა განიხილოს თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნა, და მიიღებთ გადაწყვეტილებას დატოვოთ ქვეყნის ტერიტორია. ამ შემთხვევაში თქვენ ნებაყოფლობით უნდა დაბრუნდეთ იმ ქვეყანაში რომელი ქვეყანაც არის თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხონის განხილვის პასუხისმგებელი ქვეყანა.

იმ შემთხვევაში თუ დადგინდა რომ მაინც ბელგია არის თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი ქვეყანა, საემიგრაციო სამსახური ინტერვიუს შემდეგ გადასცემს თქვენს საქმეს კომისარიატს (CGVS) , რათა მან განიხილოს და გამოიტანოს გადაწყვეტილება თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ.

6.2 გამაგზავნიან თუ არა იძულებით იმ ქვეყანაში რომელი ქვეყანაც პასუხისმგებელია განიხილოს თავშესაფრის პროცედურა?

დიახ, ეს არის შესაძლებელი გარკვეულ შემთხვევებში.

ამ შემთხვევაში თქვენ იქნებით დაკავებული შესაბამის ადგილზე (დახურული ცენტრი) რათა დაგაბრუნონ იმ ქვეყანაში, რომელი ქვეყანაც არის თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პასუხისმგებელი.

7. დამკითხავს თუ არა საემიგრაციო სამსახური?

ყოველი პირი რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს, მას უტარდება ინტერვიუ საემიგრაციო სამსახურში, და ეს ხდება რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში, თავშესაფრის მოთხოვნის განცხადების შეტანის შემდეგ. ინტერვიუ ჩატარდება თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განცხადების შეტანის დღესვე, ან იგი ჩატარდება განცხადების შეტანის დღიდან რაც შეიძლება უმოკლე დროში. ამ შემთხვევაში პირი რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს უნდა გამოცხადდეს უცხოელთა საემიგრაციო სამსახურში მოგვიანებით ან მითითებულ დღეს.

თუ თქვენ არ შეგიძლიათ გამოცხადდეთ მითითებულ დღეს, ეს რაც შეიძლება მალე უნდა შეატყობინოთ საემიგრაციო სამსახურს. თქვენი არ გამოცხადების მიზეზი უნდა იყოს მყარი. მაგალითად, ავადმყოფობის შემთხვევაში უნდა წარადგინოთ ექიმის ცნობა.

თუ თქვენ, გამოძახებიდან 15 დღის განმავლობაში არ გამოცხადდებით საემიგრაციო სამსახურში ჩაითვლება რომ თქვენ აღარ გაქვთ ინტერესი გააგრძელოთ პროცედურა, და ჩაითვლება რომ შეწყვიტეთ პროცედურა საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში საემიგრაციო სამსახურმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება რათა დატოვოთ ბელგიის ტერიტორია.

7.1 რა როლი აქვთ საემიგრაციო სამსახურის მუშაკს და თარჯიმანს, როდესაც გადაწყდება რომ უნდა დაიწყოს დუბლინის პროცედურა?

ინტერვიუს დაწყების დროს, საემიგრაციო სამსახურის მუშაკი აგიხსნით მისი და თარჯიმნის როლს ინტერვიუს მსვლელობის დროს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის დროს მოითხოვეთ თარჯიმნის დახმარება, თქვენი ინტერვიუს მთლიანი მსვლელობის დროს დაესწრება თარჯიმანი.

თარჯიმანს ევალება მხოლოდ თქვენი საუბრის სრული თარგმნა. თარჯიმანი არ ერევა თქვენი საქმის განხილვის დროს ან არ გამოხატავს თავის შეხედულებას თქვენს თავშესაფრის მიზეზთან დაკავშირებით. თარჯიმანი არ ერევა აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების დროს. თარჯიმანი არის ობიექტური და ნოიტრალური, და იცავს პროფესიულ საიდუმლეობას.

იმ შემთხვევაში თუ ინტერვიუს დაწყების დროს, ან ინტერვიუს მსვლელობის დროს, რაიმე პრობლემა იქნება თარჯიმანთან კომუნიკაციის დროს (მაგალითად თუ თარჯიმნის კარგად არ გესმით) ეს დაუყონებლივ უნდა განაცხადოთ. იმ შემთხვევაში თუ თქვენი თავშსაფრის მიზები უკავშირდება იმას, რომ თქვენ გირჩევნიათ ისაუბროთ მამაკაც ან ქალბატონ თარჯიმანთან/ მუშაკთან, ეს შეგიძლიათ განაცხადოთ დაუყოვნებლივ. შესაბამისი ინსტანციები შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ ამ თქვენს მოთხოვნას.

საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი ინტერვიუს დაწყებისთანავე აგიხსნით როგორ წარიმართება თქვენთან საუბარი და რა მოლოდინი აქვთ მათ თქვენი მხრიდან.

7.2 ინტერვიუს შესახებ

რომელი ინტერვიუ ჩამოგერთმევათ ეს დამოკიდებულია თქვენს სიტუაციაზე. ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა ვარიანტები:

დუბლინის ინტერვიუ

იმ შემთხვევაში თუ არსებობს მიზეზი, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ უნდა განიხილოს თქვენი თავშესაფრის პროცედურა, ჩაგიტარდებათ დუბლინის ინტერვიუ.

საჯარო მუშაკი რომელიც იბარებს თქვენს ინტერვიუს შეგეკითხებათ თქვენი პირადობის, ოჯახური მდგომარეობის, თუ როგორ ჩამოხვედით ბელგიაში და ასე შემდეგ, შესახებ.

აგრეთვე შეგროვდება საჭირო ინფორმაცია რათა გამორკვეულ იქნეს რომელი ევროპის ქვეყანა შეიძლება იყოს პასუხისმგებელი, vრათა განხილულ იქნეს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნა.

როდესაც პირველად ითხოვთ თავშესაფარს

2 როდესაც პირველად ითხოვთ თავშესაფარს და არ არსებობს მინიშნებები რომ სხვა ქვეყანა შეიძლება იყოს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის პასუხისმგებელი, საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი შეაგროვებს საჭირო ინფორმაციას თქვენი პირადობის მონაცემის, მოქალაქეობის, ოჯახური მდგომარეობის, გზასთან დაკავშირებით ბელგიაში და ასე შემდეგ შესახებ...

შემდეგ, მოხელე პირთან ერთად რომელიც ითხოვს თავშესაფარს შეავსებს ლტოლთა და უსამშობლო პირთა კომისარიატის (CGVS) კითხვარს (სადაც მოკლედ ისაუბრებთ თავშესაფრის მოტივთან დაკავშირებით)

ინტერვიუ, როდესაც მეორედ ითხოვთ თავშესაფარს

3 იმ შემთხვევაში თუ პირს ბელგიაში ადრე უკვე მოთხოვნილი აქვს საერთაშორისო თავშესაფარი, საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი შეგეკითხებათ "ახალ მოტივებთან დაკავშირებით" და შეგეკითხებათ ეს ელემენტები თუ რატომ ადრე არ გქონდათ მითითებული. პირი, რომელიც ითხოვს თავშესაფარს უნდა აჩვენოს, თუ რატომ უნდა მისცენ მას საერთაშორისო თავშესაფარის სტატუსი ამ ახალი ელემენტების საფუძველზე.

7.3 ინტერვიუს დამთავრება

ინტერვიუს დამთავრების შემდეგ თავიდან წაიკითხავენ იმას რაც ჩაიწერეს (*თუ საჭიროება მოითხოვს, თარჯიმნის დახმარებით*) ამ დროს თქვენ მოგეცემათ საშუალება შეასწოროთ ან შეცვალოთ და განმარტოთ თქვენი ნასაუბრები. შემდეგ თქვენ ხელს აწერთ ინტერვიუს. ამ გზით თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენ ეთანხმებით ინტერვიუს შინაარსს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ რაიმე მიზეზის გამო უარს განაცხადებთ ხელი მოაწეროთ ინტერვიუს ოქმს, საემიგრაციო სამსახურის მუშაკი მიუთითებს ამას ინტერვიუში. მუშაკი აგრეთვე გკითხავთ, თუ რატომ არ გსურთ მოაწეროთ ინტერვიუს ოქმს ხელი.

7.4 თანამშრომლობის ვალდებულება

საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი, რომელსაც მიჰყავს ინტერვიუ, ინტერვიუს დაწყებისას შეგახსენებთ, რომ თქვენ ვალდებული ხართ ითანამშრომლოთ პროცედურასთან. თქვენ, პიროვნება რომელიც ითხოვს საერთაშორისო თავშესაფარს, ყოველთვის უნდა ისაუბროთ სიმართლე და რაც შეიძლება მეტად ითანაშრომლოთ ამ ინსტანციებთან. ასევე მნიშვნელოვანია წარადგინოთ ყველა თქვენი პირადობის დამამტკიცებელი საბუთი (აგრეთვე მოქალაქეობის) გზასთან დაკავშირებული და თავშესაფრის მოთხოვის დამამტკიცებელი საბუთი. ყველა საბუთს რომელსაც თქვენ ფლობთ (უმჯობესია ორიგინალური საბუთი), რაც შეიძლება მალე უნდა წარადგინოთ საემიგრაციო სამსახურში (DVZ), აგრეთვე ყველანაირად უნდა ეცადოთ თქვენი ნათესავებისგან ან ნაცნობებისგან თქვენი ქვეყნიდან ან სხვა ქვეყნიდან, მოიპოვოთ საბუთი რაც დაგეხმარებათ თავშესაფრის პროცედურის მოთხოვნის დროს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ ითანამშრომლებთ პროცედურასთან ან მისცემთ ყალბ ჩვენებას ან ეცდებით სახელმწიფოს შეცდომაში შეყვანას, ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თავშესაფრის მოთხოვნის გადაწყვეტილებაზე.

7.5 როგორ დაორგანიზდება ინტერვიუ?

ინტერვიუ ტარდება საემიგრაციო სამსახურის განყოფილებაში და სივრცე სადაც მიმდინარეობს ინტერვიუ იმყოფება საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი, პიროვნება რომელიც ითხოვს თავშესაფარს და საჭიროების შემთხვევაში თარჯიმანი.

თუმცა, საემიგრაციო სამსახურმა შესაძლებელია გადაწყვიტოს რომ ინტერვიუ დისტანციურად ჩაგიტაროთ, იმ შემთხვევაში თუ ფისიკურად თქვენი დაბარება შეუძლებელი ან ძნელი იქნება. ამ შემთხვევაში თქვენ დაცული და უსაფრთხო ვიდეო კონფერენციის ტექნოლოგიის საშუალებით ჩაგიტარდებათ ინტერვიუ რომელსაც დაესწრება და რომელშიც ჩართული იქმებიან ის პირები ვინც უნდა გაგესაუბროთ.(ინტერვიუ წარიმართება ცალკე სივრცეში)

საემიგრაციო სამსახური უზრუნველყოფს რომ ეს გასაუბრება წარიმართოს სანდომიან გარემოცვაში, კონკრეტულად დახურულ სივრცეში, რომელსაც არ დაესწრებიან უცხო პირები, რათა გარანტირებული იყოს ინფორმაციის დაცვა, და ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა ეს გასაუბრება ჩატარდება დისტანციურად თუ ადგილზე საემიგრაციო სამსახურის განყოფილებაში. არავითარ შემთხვევაში არ კეთდება ინტერვიუს არც აუდიო და არც ვიდეო ჩანაწერი.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ თვლით რომ ინტერვიუ თქვენი სიტუაციიდან გამომდინარე არ გინდათ რომ ჩაგიტარდეთ დისტანციურად, ეს უნდა

განაცხადოთ თქვენი მოთხოვნის რეგისტრაციის დროს და უნდა განმარტოთ თუ რატომ არ გსურთ რომ ინტერვიუ ჩაგიტარდეთ დისტანციურად. საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი ამ თქვენს შენიშვნას მიუთითებს თქვენს საქმეში. ამის შემდეგ საემიგრაციო სამსახური განიხილავს არის თუ არა ეს არგუმენტაცია საფუძვლიანი.

საემიგრაციო სამსახური ყოველი გადაწვეტილების დროს გაინთვალისწინებს იმ სპეციფიურ პროცედურულ საჭიროებებს რაც თქვენ გესაჭიროებათ.

იმ შემთხვევაში თუ საემიგრაციო სამსახური ჩათვლის რომ თქვენი არგუმენტაცია არის უსაფოძვლო, თქვენ ინფორმირებული იქნებით ამის შესახებ. საემიგრაციო სამსახური დაგეგმავს რათა თქვენ გაგესაუბრონ დისტანციურად და ამას ყველაფერს მიუთითებს თქვენს საქმეში.

თქვენ თავის დროზე იქნებით ინფორმირებული, რომ თქვენთან გასაუბრება ჩატარდება დისტანციურად. თქვენ ინფორმირებული იქნებით აგრეთვე ინტერვიუს ჩატარების პრაქტიკულ მხარეებთან დაკავშირებით.

რეგისტრაციის დროს თქვენ სრულად ინფორმირებული იქნებით დისტანციურად ინტერვიუს ჩატარების თაობაზე და მოგეცემათ საშუალება გამოხატოთ თქვენი პრეტენზია დისტანციურად ინტერვიუს ჩატარებასთან დაკავშირებით.

მეტი ინფორმაცია ინტერვიუს შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ საემიგრაციო სამსახურის ვებ გვერდზე:

https://tinyurl.com/DPIAuditionENG

8. რომელი საბუთები უნდა წარადგინოთ?

8.1 პროცედურის დროს

თქვენი საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნის გაკეთებიდან 8 დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეთ ქალაქის გამგეობაში, თქვენი ადგილსამყოფელის მიხედვით, თან უნდა იქონიოთ დანართი 26/26quinquies.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ **პირველად ითხოვთ თავშესაფარს** , საემიგრაციო სამსახური მოგცემთ დანართ 26. გამგეობა თქვენი ადგილსამყოფელის

მიხედვით ამ საბუთის საფუძველზე მოგცემთ იმატრიკულაციის ცნობას, რომელიც თავშესაფრის მოთხოვნიდან ძალაშია 4 თვის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ **მეორედ ითხოვთ** საერთაშორისო თავშესაფარი, თქვენ მიიღებთ დანართ bijlage 26 quinquies. ამ საბუთს აგრძელებს საემიგრაციო სამსახური მანამ სანამ კომისარიატი თქვენი მოთხოვნის შესახებ არ მიიღებს გადაწყვეტილებას.

თქვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ მოითხოვოთ ცნობა იმატრიკულაციის შესახებ, თუ კომისარიატი (CGVS) თქვენს მოთხოვნას მიღებულად ცნობს. ამ შემთხვევაში თქვენ აღარ გადაგიგრძელდებათ საბუთი bijlage 26 quinquies მაგრამ გამგეობის მიერ მიიღებთ ცნობას იმატრიკულაციის შესახებ.

8.2 ლტოლვილის სტატუსის მიღების შემდეგ

იმ შემთხვევაში თუ კომისარიატი CGVS ან სასამართო ინსტანცია RVV მოგანიჭებთ ლტოლვილის სტატუსს, თქვენ მიიღებთ ლტოლვილის ცნობას. თქვენ ამ საბუთით უნდა მიმართოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის გამგეობას, რომელიც ამ საბუთის საფუძველზე ჩაგწერთ უცხოელთა რეესტრში და მიიღებთ A-კარტას. (შეზღუდული დარჩენის უფლება), რომელიც ძალაში იქნება 5 წლის ვადით.

საერთაშორისო მოთხოვნიდან 5 წლის შემდეგ, უფლება გაქვთ მოითხოვოთ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების უფლება. ამ შემთხვევაში თქვენ მოთხოვნა უნდა გააკეთოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის გამგეობაში, რათა მიიღოთ B- კარტა. ამ მოთხოვნას განიხილას საემიგრაციო სამსახური.

8.3 სუბსიდიალური სტატუსის (შეზღუდული სტატუსი) მიღების შემდეგ

იმ შემთხვევაში თუ კომისარიატი CGVS ან RVV მოგანიჭებთ სუბსიდიალურ სტატუსს, ამ გადაწყვეტილებით უნდა მიმართოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილსამყოფელის გამგეობას, ისინი თქვენ ამ ცნობის საფუძველზე დაგარეგისტრირებენ უცხოელთა რეესტრში და მოგცემენ A-კარტას, ამ კარტას ორჯერ გიგრძელებენ ყოველი ორი წლის შემდეგ, საემიგრაციო სამსახურის მითითების გარეშე. A -კარტის გადაგრძელებასთან დაკავშირებლი მოთხოვნა უნდა შეიტანოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის გამგეობაში 30 –45 დღით ადრე კარტის ვადის ამოწურვამდე .

თავშესაფრის მოთხოვნის დღიდან 5 წლის შემდეგ, შეგიძლიათ მოითხოვოთ მუდმი ცხოვრების უფლება. ამ შემთხვევაში თქვენ მოთხოვნა უნდა გააკეთოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის გამგეობაში. რათა მიიღოთ B-კარტა. ეს მოთხოვნა განიხილება უცხოელთა განყოფილების მიერ.

8.4 უარის შემთხვევაში სერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით

როგორც კი საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით, საემიგრაციო სამსახური (DVZ) გასცემს ბრძანებას რათა დატოვოთ ბელგიის ტერიტორია(BGV) და გამგეობა ჩამოგართმევთ იმატრიკულაციის საბუთს.

ბრძანება ბელგიის ტერიტორიის დატოვების შესახებ შეიძლება მიიღოთ შემდეგ შემთხვევებში:

- თუ კომისარიატის გადაწყვეტიების წინააღმდეგ გასაჩივრების ვადა ამოწურულია და არ გაკეთებულა გასაჩივრება.
- RVV- ემ მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება გასაჩივრების შემდეგ.

მეორე (*ან მესამე*) თავშესაფრის მოთხოვნის შემდეგ თუ კომისარიატი მიიღებს გადაწყვეტილებას რათა არ განიხილოს თქვენი თავიდან თავშესაფრის მოთხოვნა და ეს გადაწყვეტილება არ დაექვემდებარება გასაჩივრებას, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ბელგიის ტერიტორიის დატოვების შესახებ.

ბელგიის ტერიტორიის დატოვების შესახებ ბრაძანებულების მიხედვით, თქვენ მითითებული პერიოდის განმავლობაში უნდა დატოვოთ ბელგიის ტერიტორია.

იმ შეთხვევაში თუ თქვენ უკვე ადრე გქონდათ მიღებული გადაწყვეტილება ბელგიის ტერიტორიის დატოვების შესახებ და თქვენ არ მოახდინეთ ამ გადაწყვეტილებაზე რეაგირება, საემიგრაციო სამსახურს შეუძლია არ გამოსცეს ახალი ბრძანებულება ბელგიის ტერიტორიის დატოვების შესახებ, არამედ მან მიიღოს გადაწყვეტილება რათა თავიდან გააქტიუროს წინა ბრძანებულება.

ამ შემთხვევაში მითითებული იქება თუ რამდენი ხნის განმავლობაში უნდა დატოვოთ ბელგიის ტერიტორია. ბელგიის ტერიტორიის დატოვების შესახებ თქვენ შეგატყობინებენ თქვენს საცხოვრებელ მისამართზე.

9. შემიძლია თუ არა შევცვალო ჩემი პირადი მონაცემები?

პროცედურის დროს თქვენ თუ შენიშნავთ რომ თქვენი პირადი მონაცემები არასწორედ არის მითითებული, შეგიძლიათ ეს შეასწორებინოთ საემიგრაციო სამსახურს. ეს შესაძლებელია თქვენთან პირველი გასაუბრების დროს, როდესაც საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი შეგეკითხებათ, არის თუ არა თქვენი პირადი მონაცემები სწორედ მითითებული. შესაბამისად შეგიძლიათ შეასწორებინოთ თქვენი პირადი მონაცემები.

იმ შემთხვევაში თუ მოგვიანებით პროცედურის დროს ან შემდეგი პროცედურის დროს, გსურთ შეცვალოთ თქვენი პირადი მონაცემები, ეს მხოლოდ შესაძლებელი იქნება თქვენი საერთაშორისო პასპორტის წარდგენის შემთხვევაში.

10. მე ვარ არასრულწლოვანი პირი და არ მყავს თანხლები პირი... რა ხდება ამ შემთხვევაში?

თუ თქვენ ჯერ 18 წლის არ ხართ და თქვენ არ გახლავთ თან მშობელი ან სხვა პირი, რომელიც თქვენს ქვეყნიდან ითვლება როგორც თქვენი მეურვე, თქვენი რეგისტრაცია მოხდება როგორც არასრულწოვანი პირი თანხლების გარეშე. ეს ნიშნავს იმას რომ საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი რომელიც კომფედენტურია ამ საკითხში თქვენთან ერთად შეავსებს კითხვარს, რაც შემდეგ გადაეცემა მეურვეობის სამსახურს.

მეურვეების სამსახური ბელგიაში არის განყოფილება, სადაც მოხდება თქვენი იდენტიფიცირება და შემდეგ დაგენიშნებათ მეურვე.

მეტი ინფორმაცია მეურვეების სამსახურის შესახებ შეგიძლიათ მოიპოვოთ შემდეგ ვებ გვერდზე :

https://tinyurl.com/dpiTutellesFR

თუ თქვენ უკვე ბელგიაში იმყოფებით, შესაძლებლობა გაქვთ მეურვესთან დაკავშირებით დაუკავშირდეთ სხვა მეურვეობის სამსახურს, რათა უკვე დაინიშნოთ მეურვე.

იმ შემთხვევაში თუ თქვენს ასაკთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი, შეიძლება გადაწყდეს რომ ჩაგიტარდეთ სამედიცინო კვლევა თქვენს ასაკის დადგენასთან დაკავშირებით. თქვენ შეგიძლიათ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროთ სასამართლოში (Raad van State)

პროცედურის მსვლელობის განმავლობაში თქვენ გეხმარებათ თქვენი მეურვე. ეს ნიშნავს იმას რომ, იგი მიიღებს ყველა შეტყობინებას შეკითხვასთან, ინფორმაციასთან და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. აგრთვე აუცილებელია რომ თქვენი მეურვე ესწრებოდეს საემიგრაციო სამსახურში თქვენს ინტერვიუს. იმ შემთხვევაში თუ თქვენი მეურვე ინტერვიუს არ დაესწება, თქვენი ინტრვიუ ვერ ჩატარდება.

საემიგრაციო სამსახურში თქვენ გაგესაუბრებათ საემიგრაციო სამსახურის თანამშრომელი, რომელიც სპეციალიზირებულია არასრულწოვან პირთა გასაუბრებასთან დაკავშირებით. მათი შეკითხვები იქნება თქვენს ასაკთან შესაბამისი.

თავშესაფრის მოთხოვნის დროს თქვენ მოგაწვდიან დამატებით ინფორმაციას. გადმოქცემენ საინფორმაციო ბროშურას, “საინფორმაციო ბროშურა როდესაც არასრუწლოვანი პირი ბელგიაში თანხლების გარეშე ითხოვს თავშესაფარს”. ეს საინფორმაციო ბროშურა ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე კომისარიატის ვებ გვერდზე:

https://www.cgrs.be/en/publications

11. შემიძლია თუ არა პროცედურის განმავლობაში დავიხმარო ადვოკატი?

თქვენ პროცედურის განმავლობაში შეგიძლიათ დაიხმაროთ ადვოკატი. თქვენ იღებთ ამ ადვოკატის ხარჯებს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ არასაკმარისს ფინანსურ საშუალებებს ფლობთ ადვოკატის ასაყვანად, ყოველთვის შეგიძლიათ მოითხოვოთ სახაზინო ადვოკატი. სახაზინო ადვოკატი შეგიძლიათ თქვენვე აიყვანოთ, ან იგი დაგენიშნებათ. თქვენ არ იხდით სახაზინო ადვოკატის ხარჯებს. ამისთვის თქვენ უნდა დაადასტუროთ დანართი 26-ით ან დანართი 26 quinquies , რომ ხართ პირი რომელმაც მოითხოვა საერთაშორისო თავშესაფარი,.

თუ მოგვიანებით გამოჩნდება რომ თქვენ ფლობთ საჭირო ფინანსურ საშუალებას/ გაქვთ შემოსავალი, ის ხარჯები რაც გათვალისწინებული იყო სახაზინო ადვოკატთან დაკავშირებით უნდა აანაზღაუროთ ნაწილობრივ ან მთლიანდ.

თქვენ როდესაც ითხოვთ საერთაშორისო თავშესაფარს, შეგიძლიათ მოითხოვოთ იურიდიული დახმარება. ამით შეღავათი გაგიკეთდებათ პროცედურულ ხარჯებთან დაკავშირებით.

აგრეთვე არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზირებულები არიან უცხოელი პირის დახმარების საკითხებთან დაკავშირებით.

ორგანიზაცია UNHCR მოწოდებულია უზრუნველყოს უცხოელი პირთა უფლებები და კეთილდღეობა.

მეტი ინფორმაცია UNHCR შესახებ, შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ვებ გვერდზე:

https://www.unhcr.org/be

12. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მე მსურს დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში?

იმ შემთხვევაში თუ პროცედურის მსვლელობის დროს ან პროცედურის დამთავრების შემდეგ ფიქრობთ, რომ გსურთ დაბრუნდეთ თქვენს ქვეყანაში, შეგიძლიათ მოითხოვოთ ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა Fedasil-ის მხრიდან.

ამასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ვებ გვერდზე:

https://www.voluntaryreturn.be/

იმ შემთხვევაში თუ თქვენ აღარ ფლობთ პირადობის დამადასტურებელ საბუთს, შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი ქვეყნის საელჩოს. იქ შეგიძლიათ თავიდან მოითხოვოთ პასპორტი ან უკან დასაბრუნებელი საბუთი.

მეტი ინფორმაცია საელჩოებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ვებ გვერდზე "საკონსულოები და საელჩოები": http://diplomatie.belgium.be

თქვენს ქვეყანაში ნებაყოფლობით დაბრუნებასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საემიგრაციო სამსახურის განყოფილებას/ Vrijwillige Terugkeer/, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე :

return@ibz.fgov.be

13. შეიძლება თუ არა პროცედურის მსვლელობის დროს მოხდეს ჩემი დაკავება?

უცხოელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონს თქვენს დაკავებასთან დაკავშირებით კონკრეტულ ადგილზე (*დახურულ ცენტრში*) და ამას წყვეტს საემიგრაციო სამსახურის განყოფილება.

პირმა, რომელმაც მოითხოვა საერთაშორისო თავშესაფარი და არის დაკავებული, მას აქვს საშუალება ყოველთვიური დაკავება გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოში, და მოითხოვოს იქიდან განთავისუფლება. ეს მოთხოვნა უნდა იყოს შედგენილი იურიდიული წესების დაცვით.

14. რაში იყენებს საემიგრაციო სამსახური ჩემს პირად მონაცემებს?

საემიგრაციო სამსახური უზრუნველყოფს თქვენი პირადი მონაცემების დაცვას AGV (*მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულირება*) შეთანხმების საფუძველზე

მეტი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ რეგულირების განაწესის ან ევროპული ორგანიზაციის წესების დაცვის შესახებ **აქ** ან შემდეგი QR კოდის სკანირებით:

https://dofi.ibz.be/en/about-us/processing-personal-data/transparency-information-data-subject/transparency-international

15. საჭირო მისამართები

საემიგრაციოს სამსახური (DVZ)
Pacheco
Boulevard Pacheco, 44
1000 Bruxelles

Infodesk
T +32 2 488 80 00

infodesk@dofi.fgov.be
www.dofi.fgov.be
www.ibz.fgov.be

ლტოლვილთა და უსამშობლო პირთა გენერალური კომისარიატი (CGVS)
Eurostation
Rue Ernest Blerot 39
1070 Bruxelles

T + 32 2 205 51 11

cgra.info@ibz.fgov.be
www.cgra.be

უცხოელთა დავის საბჭო (RvV)
Laurentide
Rue Gaucheret 92-94
1030 Bruxelles

T + 32 2 791 60 00

info.rvv-cce@ibz.fgov.be
www.rvv-cce.be

საკანონდებლო აღმასრულებელი სასამართლო ორგანო (RvS)
Rue de la Science 33
1040 Bruxelles

T + 32 2 234 96 11

info@raadvst-consetat.be
www.raadvst-consetat.be

ფედაზილი (Fedasil)
Rue des Chartreux 21
1000 Bruxelles

T + 32 2 213 44 11

info@fedasil.be
https://www.fedasil.be/

მეურვეობის სასახური
Boulevard de Waterloo 115
1000 Bruxelles

T + 32 78 15 43 24

tutelles@just.fgov.be
https://justitie.belgium.be/

გაეროს ადამიანთა უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი
Avenue Louise 283
1050 Bruxelles

T + 32 2 627 59 99

belbr@unhcr.org
https://www.unhcr.org/be

Editeur responsable : Freddy Roosemont - Boulevard Pacheco 44, 1000 Bruxelles - BCE 0308.356.862
- Ne pas jeter sur la voie publique -